განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განპირობებულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავებით. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც განსაზღვრავს ელექტრონული ხელმოწერის, ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს, ჩაანაცვლებს ამჟამად მოქმედ „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონს.

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავებამ განაპირობა „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ მოქმედი კანონის გარდამავალი დებულების გათვალისწინებით (მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი) შემუშავებული საკანონმდებლო ნორმების გადახედვის საჭიროება, რომლებიც მხოლოდ კონკრეტულ ადმინისტრაციულ ორგანოებს ანიჭებდა ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უფლებამოსილებას და ამგვარად იძლეოდა „საგამონაკლისო რეჟიმის“ დაწესების შესაძლებლობას.

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში არსებული დებულებები ელექტრონული დოკუმენტის ასლისა და ამონაბეჭდის იურიდიული ძალის შესახებ, ასევე ელექტრონულ დოკუმენტზე ხელმოწერის არასავალდებულო წესით გამოყენებასთან დაკავშირებით, უკვე მოწესრიგებულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით, კერძოდ, -კანონპროექტის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებით, რაც გულისხმობს ელექტრონულ დოკუმენტზე სავალდებულო წესით კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის გამოყენებას. ამასთან, კანონპორექტის მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები არეგულირებენ ელექტრონული დოკუმენტის ამონაბეჭდისა და მატერიალური დოკუმენტის ელექტრონული ასლის იურიდიული ძალის საკითხს. აქედან გამომდინარე, ვინაიდან „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ შემოთავაზებული კანონპროექტი ყველა ადმინისტრაციული ორგანოსათვის თანაბარ საწყისებზე ადგენს ელექტრონული დოკუმენტის იურიდიული ძალის საკითხს, მიზანშეწონილია, ზემოაღნიშნული საკითხების მხოლოდ ერთი სპეციალური კანონით (ამ შემთხვევაში - „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული

სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონი) მოწესრიგება და სხვა დარგობრივ საკანონმდებლო აქტებში დუბლირებული დებულებების ამოღება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისობის უზრუნველყოფა „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით, ერთგვაროვანი სამართლებრივი პრაქტიკის დანერგვის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიდან (მუხლი 35[1]) ამოღებულ იქნება ელექტრონული დოკუმენტის ამონაბეჭდისა და ასლის იურიდიული ძალის საკითხის ამსახველი დებულება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან შესაბამისობის მიზნით, ნაცვლად აღნიშნული კოდექსის ნორმისა (51-ე მუხლის მე-3 ნაწილის მეორე წინადადება), რომლის მიხედვით, „წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება არ აკმაყოფილებდეს ამ კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს“ (რაც იმას გულისხმობს, რომ მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებების გამოყენებით გამოცემულ დოკუმენტს შესაძლოა არ ჰქონდეს უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა (მათ შორის, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა)), კანონპროექტით დგინდება ზოგადი დანაწესი, რომლის თანახმად, წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა აკმაყოფილებდეს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

ანალოგიური ცვლილება შედის კოდექსის 52[1] მუხლშიც, რომელიც განსაზღვრავს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სავალდებულო რეკვიზიტებს (მათ შორის, უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერას), კერძოდ, აღნიშნულ მუხლს ემატება 1[1] ნაწილი, რომლის თანახმად, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი *(აქ ცალსახად იგულისხმება, მართვის - ავტომატური საშუალებებით - „მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით ნორმატიული აქტის (ნორმატიული აქტის პროექტის) შედგენის, მიღების (გამოცემის), გაგზავნის, აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 29 დეკემბრის №138 ბრძანებით გათვალისწინებულ ნორმატიული აქტების საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემის მეშვეობით ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა), რადგან 2011 წლის 1 იანვრიდან ნორმატიული აქტების მიღება (გამოცემა) აღნიშნული სისტემის მეშვეობით ხდება)* უნდა აკმაყოფილებდეს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს“. აღნიშნული ცვლილება გამომდინარეობს იქიდანაც, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მხოლოდ კოლეგიური ორგანოს მიერ

გამოცემული ნორმატიული აქტის „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობის ვალდებულებაა დადგენილი და იგივე ვალდებულება არ არის განსაზღვრული ერთპიროვნულად და ერთობლივი ნორმატიული აქტის გამოცემის შემთხვევაში. კანონპროექტით, ერთგვარად, აღმოიფხვრება ეს ხარვეზი. ამასთან, აღნიშნული ცვლილება ჰარმონიზებულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან, რომელიც უკვე მიღებულია სხვა საკანონმდებლო აქტების პროექტებთან ერთად.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს აღნიშნული პირებისათვის.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავებაში სხვა ორგანიზაცია/დაწესებულებებსა და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის პარლამენტის წევრები ეკა ბესელია და გიორგი ხატიძე.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის პარლამენტის წევრები ეკა ბესელია და გიორგი ხატიძე.